საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 577/ს
24/10/2023

577-21-4-202310241549

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურისა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურისა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N32;
2. შპს „აჭარ ენერჯი-2007“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N32 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო